ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №4183777

ნომერი: AR1631453

თარიღი : 18.09.2018

გაცემის თარიღი : 24.09.2018

გაცნობის თარიღი : 09.10.2018

შედეგი : უარყოფა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , დ.აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- ლევან სიამაშვილი პ/ნ 01024069213
- თბილისი იპ.ხვიჩიას ქ. N 36 ბ. 4

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება
- II კლასის ობიექტი (სავარაუდო კლასი)

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილებით დამტკიცებული მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის #14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის“ თანახმად.

გადაწყვეტილება

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა განიხილა თქვენი 2018 წლის 18 სექტემბრის #AR1631453 განცხადება, რომლითაც ითხოვთ ქ. თბილისში, დ. აღმაშენებლის ხეივანში, მე-12 კმ. საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ N 01.72.14.013.050 მიწის ნაკვეთზე, მრავალადგილიანი ავტოსადგომის აშენების მიზნით 2017 წლის 25 დეკემბრის #3736512 ბრძანებით დამტკიცებულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

პასუხად გაცნობებთ, რომ საპროექტო მიწის ნაკვეთზე სამსახურის მიერ 2017 წლის 25 დეკემბრის #3736512 ბრძანებით დამტკიცდა მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალადგილიანი ავტოსადგომის აშენების მიზნით. აღნიშნულ მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში გაფრთხილების სახით დაფიქსირდა, შემდეგი: ,,საჯარო რეესტრის ამონაწერში ნაკვეთის ფუნქციად ფიქსირდება სასოფლო სამეურნეო, მშენებლობის ნებართვის შემდგომ ეტაპზე წარმოდგენილ უნდა იქნას განახლებული ამონაწერი საჯარო რეესტრიდან სადაც ნაკვეთის ფუნქციად დაფიქსირებული იქნება არასასოფლო–სამეურნეო;

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, სამსახურის მიერ 2017 წლის 25 დეკემბრის #3736512 ბრძანებით დამტკიცებული მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობების მიზნობრივ დანიშნულებაში, ნაცვლად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა, არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის დაფიქსირება არ საჭიროებს მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანას.

- დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.